გაᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
# უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

## ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
## სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
23. 04. 2019

დასკვნის წარდგენის თარიღი
10. 05. 19

თბილისი
2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205224700 |
| დაწესებულების სახე | |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ქართული ფილოლოგია |
| განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ფილოლოგიის მაგისტრი 1005 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო პოპიაშვილი, თსუ |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ხვთისო მამისიმედიშვილი, თსუ |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ანჟელა აბულაძე, თსუ-ს სტუდენტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

  - სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2013 წელს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2013 წლის 30 ივლისის №95 დადგენილების შესაბამისად. 2013 წლიდან 2017 წლამდე პროგრამაზე სულ 42 სტუდენტი ჩაირიცხა. პროგრამას ჰყავს 39 კურსდამთავრებული. ამჟამად პროგრამაზე 18 აქტიური სტატუსის სტუდენტია.
  - საკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის მიზანი შეესაბამება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას. პროგრამაში ასახულია უნივერსიტეტის მისიის შესაბამისი საკითხები. საკრედიტაციოდ წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამაში, ქართული ფილოლოგია, შეტანილია როგორც ქართველური ენათმეცნიერების, ქართული ლიტერატურის, ისე აფხაზოლოგიის საკითხები აფხაზური ენისა და აფხაზური ლიტერატურის მიმართულებით. პროგრამის მიზანს წარმოადგენს მაგისტრანტებისათვის ღრმა და სისტემური ცოდნის გადაცემა ქართული და აფხაზური ენების სტრუქტურული პარალელების შესახებ, ლინგვისტური აფხაზოლოგიის აქტუალური სამეცნიერო პრობლემების შესახებ, ასევე, დაინტერესებულ მაგისტრანტებს შეასწავლოს მდიდარი ტრადიციების მქონე ქართულ-აფხაზური ურთიერთობები; თანამედროვე ინტერკულტურული კვლევის მეთოდები და სხვ.
  - პროგრამის მიზანია აგრეთვე ქართულ ფილოლოგიაში მაღალკვალიფიციური მაგისტრანტების მომზადება, რომელთაც ექნებათ შესაბამისი დარგის აკადემიური ხარისხი და სათანადო კვალიფიკაცია. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამას აქვს ორი მოდული: ქართული ლიტერატურათმცოდნეობა და ქართველური ენათმეცნიერება. თითოეულ მოდულში განსაზღვრულია მიზნები და ამოცანები. ქართველური ენათმეცნიერების სასპეციალიზაციო მოდულის მიზანია სპეციალისტებს საფუძვლიანად შეასწავლოს აღნიშნულ დარგში არსებული განსხვავებული სამეცნიერო შეხედულებები შეხედულებები ქართული სამწიგნობრო ენისა და ქართველური ენა-კილოების ფონეტიკის, ქართველური სახელისა და ზმნის პარადიგმების შესახებ; საერთოქართველურ და არქაულ სამწიგნობრო ენობრივ სისტემასთან ქართველური ტერიტორიული ენობრივი ერთეულების (მეგრულის, ჭანურის, სვანურის) მიმართება; ქართველურ ენა-კილოთა გავრცელების არეალში არსებული რთული სოციოლინგვისტური და ლინგვოკულტურული პროცესები და არეალური კონტაქტები; ქართველ და უცხოელ მკვლევართა მიერ ქართველთა ენობრივ-ეთნიკური იდენტობის შესახებ ჩამოყალიბებული მეცნიერული თუ იდეოლოგიზებული შეხედულებები. ქართული ლიტერატურათმცოდნეობის სასპეციალიზაციო მოდულის მიზანია მაგისტრანტს მისცეს საფუძვლიანი ცოდნა ლიტერატურული გვარებისა და ჟანრების ჩასახვა-ფორმირებასთან, ეპოქათა შესაბამისად განვითარების ეტაპების მოდიფიცირებასთან მიმართებით; გააცნობიერებინოს ქართული ლიტერატურის ისტორიის (სამივე პერიოდის)

ძირითადი პრობლემატიკა, ნიშანდობლივი თვისებები და ჟანრული თავისებურებები მსოფლიო ლიტერატურის ევოლუციის კონტექსტში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ცენტრის დირექტორის ბრძანების #264 (15. 04. 2019) თანახმად, 2019 წლის 23 აპრილს სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით: ნინო პოპიაშვილი, ხვთისო მამისიმედიშვილი, ანჟელა აბულაძე.
ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მასალები და დაიწყო შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობა. ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ იმუშავა პროგრამის გაცნობაზე, შეფასებაზე და დაზუსტდა ის აუცილებელი კითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა შეადგენს 120 ECTS კრედიტს. კრედიტები შედგება სავალდებულო და არჩევითი დისციპლინებისგან, ასევე, სავალდებულო სამაგისტრო ნაშრომისგან. სამაგისტრო პროგრამა შედგება ორი მოდულისაგან: ქართველური ენათმეცნიერებისა და ქართული ლიტერატურათმცოდნეობის მოდულებისგან. პროგრამაში არის ორივე მოდულისათვის სავალდებულო სასწავლო კურსები.სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების შინაარსი და სწავლის შედეგები ძირითადად შეესაბამება პროგრამის მიზნებს. კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა ლოგიკურია. სილაბუსებში მითითებულია თანამედროვე და დარგისთვის მნიშვნელოვანი სასწავლო მასალა. სამაგისტრო პროგრამაში ჩართული არ არის ისეთი მნიშვნელოვანი ფილოლოგიური სამეცნიერო დისციპლინა, როგორიც არის ფოლკლორისტიკა, რაც აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის სერიოზულ ხარვეზს წარმოადგენს. ქართველური ენათმეცნიერების სადოქტორო პროგრამა მთლიანობაში შეესაბამება სტანდარტებს. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი საგნის სილაბუსში შეინიშნება ტექნიკური ხარვეზები. სტუდენტთა მომსახურების ნაწილში უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტში სრულფასოვნად არ არის დანერგილი სწავლების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სამაგისტრო დებულება, რომელშიც გაწერილია ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები და ხელმძღვანელობის წესები და პროცედურები. ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომს, სამაგისტრო ნაშრომების ნაწილში შეინიშნებოდა პუბლიცისტური სტილი. პროგრამას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი. პროგრამაში

ჩართულია სულ 24 პროფესორი, 21 აკადემიური პერსონალი და 3 მოწვეული მასწავლებელი. უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი უზრუნველყოფს ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებას საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. ამ პროგრამისთვის სასწავლო პროცესი მიმდინარეობს გარემონტებულ აუდიტორიებში, რომლებიც აღჭურვილია სწავლებისთვის საჭირო ტექნიკითა და აპარატურით. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის მონაწილე პერსონალი თანამშრომლობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, საჭირო დროს გადიან კონსულტაციებს, ამუშავებენ შიდა ხარისხის შეფასების ინდიკატორებსა და კრიტერიუმებს.

სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის წინაპირობები არის საჯარო და ხელმისაწვდომი. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებია: ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ნებისმიერი სპეციალობით; საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება; შიდა საუნივერსიტეტო სასპეციალიზაციო წერითი გამოცდა; უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

წინაპირობების მიხედვით, ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა შეუძლია ნებისმიერი სპეციალობის ბაკალავრის ხარისხის მქონე პირს. აღნიშნული რეგულაცია თანხვედრაში მოდის განათლების კანონთან. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2013 წელს აკრედიტაციის ექსპერტთა ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამაზე არსებული წინაპირობების მოხსნის საკითხს. კერძოდ, 2013 წლის 10 ივნისს გაცემული ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნულია: „სასურველია მოიხსნას სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, რომლის თანახმადაც მხოლოდ ჰუმანიტარული პროფილის, რელიგიათმოდნეობისა და განათლების მეცნიერებების სტუდენტებს აქვთ ამ პროგრამაზე ჩაბარების უფლება“. 2019 წლის აკრედიტაციის ეპსპერტთა აზრით, ვინაიდან მოქმედ კანონმდებლობაში არ არის შეზღუდული სამაგისტრო სასპეციალიზაციო რეგულაციები, დასაშვებია სამაგისტრო პროგრამას არ ჰქონდეს წინაპირობები. აღნიშნული საკითხი კი რეგულირდება შიდა სამაგისტრო გამოცდით, რომელიც შეიცავს ქართული ფილოლოგიის, ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის ძირითად, საკვანძო და მნიშვნელოვან საკითხებს.

სამუშო განრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შედგა შეხვედრები უნივერსიტეტის რექტორთან, კანცლერთან, სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან,

ფაკულტეტის დეკანთან, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან. შემდეგ შედგა ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს და პოტენციურ დამსაქმებლებს.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა აუდიტორიები, სამუშაო ოთახები, საკონფერენციო დარბაზი, ბიბლიოთეკები და სხვ.

შეხვედრის განმავლობაში დაზუსტებულ იქნა ინფორმაცია პროგრამის, მისი სტრუქტურის, შესაბამისი დოკუმენტაციისა და ცალკეული სილაბუსების შესახებ.

## საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა შესაბამისობაშია I, III, IV და V სტანდარტებთან, მეტწილად შესაბამისობაშია II სტანდარტთან.

ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა მთლიანობაში შეესაბამება სტანდარტებს.

- რეკომენდაციები

  - მიზანშეწონილია ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში იყოს შეტანილი ისეთი სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტებს შეასწავლის ფოლკლორის როლსა და მნიშვნელობას.
  - სტუდენტების აკადემიური მოსწრების გაანალიზების, სტუდენტთა პორტფოლიოს შექმნისა და ინფორმაციის მიწოდების გზების გამარტივების მიზნით მიზანშეწონილია ელექტრონული მართვის სისტემა შეიქმნას მაგისტრატურის სტუდენტებისთვისაც.
  - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა, დამხმარე და სასწავლო მასალა. წიგნების ნაწილი არ არის შეტანილი ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში, ან არ იძებნება. მიზანშეწონილია, შესაბამისობაში მოვიდეს საგნების სილაბუსები ბიბლიოთეკის კატალოგთან.
  - აუცილებელია, განახლდეს საბიბლიოთეკო ბაზა შესაბამისი სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურით.

- სილაბუსებში დასახელებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის შინაარსთან.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
  - სამაგისტრო ნაშრომების ნაწილში შეინიშნებოდა პუბლიცისტური სტილი. სასურველია, რომ ნაშრომები დამუშავდეს სამეცნიერო სტილით.
  - განახლდეს უნივერსიტეტის წიგნადი ფონდი სასწავლო ლიტერატურით.
  - სასურველია, პრორგამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მოტივირება/დაინტერესება მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში მონაწილეობის მისაღებად (SCOPUS, EBSCO და სხვ.).
  - სასურველია, სამაგისტრო პროგრამაზე მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტების წახალისების მიზნით დაწესდეს შიდა დაფინანსება/სტიპენდია.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- 2013 წელს პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია. აკრედიტაციის ექსპერტებმა დადებითად შეაფასეს პროგრამა, რეკომენდაციებისა დარჩევების ნაწილი ეხებოდა ცალკეული კურსების გაუმჯობესებას, ასევე, გამოთქმული იყო სურვილი, სამაგისტრო ნაშრომების სავარაუდო თემატიკის გაუქმების შესახებ. უნივერსიტეტმა გაითვალისწინა რჩევები და რეკომენდაციები.
- 2013 წლის 10 ივნისს გაცემული ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნულია: „სასურველია მოიხსნას სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, რომლის თანახმადაც მხოლოდ ჰუმანიტარული პროფილის, რელიგიათმოდნეობისა და განათლების მეცნიერებების სტუდენტებს აქვთ ამ პროგრამაზე ჩაბარების უფლება“. 2019 წლის

აკრედიტაციის ექსპერტთა აზრით, ვინაიდან მოქმედ კანონმდებლობაში არ არის შეზღუდული სამაგისტრო სასპეციალიზაციო რეგულაციები, დასაშვებია სამაგისტრო პროგრამას არ ჰქონდეს წინაპირობები. აღნიშნული საკითხი კი რეგულირდება შიდა სამაგისტრო გამოცდით, რომელიც შეიცავს ქართული ფილოლოგიის, ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის ძირითად, საკვანძო და მნიშვნელოვან საკითხებს.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>• სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანი შეესაბამება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას. პროგრამაში ასახულია უნივერსიტეტის მისიის შესაბამისი საკითხები. უნივერსიტეტის მისიაში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტი არის “აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - 1932 წელს დაარსებული სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (1979 წლიდან - სოხუმის/აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის) - უშუალო სამართალმემკვიდრე. ის არის მრავალსაუკუნოვანი ზოგადქართული საგანმანათლებლო ტრადიციების მატარებელი უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც ეფუძნება ქართველი და აფხაზი ხალხების სულიერ და ინტელექტუალურ ფასეულობებს, მულტიკულტურული სისტემების მდგრადობის განმსაზღვრელ ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს; გააჩნია განსაკუთრებული - ეთნიკური, მენტალური და სოციოკულტურული ფასეულობების შემაკავშირებელი ფუნქცია - ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის უკანასკნელ ათწლეულებში გაჩენილი მენტალური გაუცხოების აღმოფხვრისა და აფხაზეთში ქართულ-აფხაზური ისტორიული თანაცხოვრების აღდგენის პროცესის ხელის შეწყობა. ეს განსაკუთრებული მისია, რომელიც უპირატესობასთან ერთად, საგანგებო და ისტორიული პასუხისმგებლობაცაა, აჩენს შესაძლებლობას, რომ უნივერსიტეტი, საგანმანათლებლო კერასთან ერთად, იქცეს კონფლიქტების კვლევის რეგიონულ ცენტრად”. ასევე, აღნიშნულია, რომ: “სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტულია ისეთი მნიშვნელოვანი დარგებისა და მიმართულებების განვითარება, როგორებიცაა: ქართველოლოგია, აფხაზეთმცოდნეობა, მასწავლებელთა განათლება, ზუსტი და საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული და სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერებები, სამართალი და ბიზნესის ადმინისტრირება. ამასთან ერთად, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია ინტერდისციპლინური დარგების, მოკლევადიანი და პროფესიული პროგრამების განხორციელება, რომელთა მიზანს შრომის ბაზარზე |

ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება შეადგენს. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი მხარს უჭერს განათლების ინტერნაციონალიზაციას, უწყვეტობას, მდგრადობასა და ხელმისაწვდომობას; აღნიშნული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია უცხოელ პარტნიორებთან ერთად სხვადასხვა ერთობლივ სასწავლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევით პროექტებში აქტიური ჩართვა, მათი მხარდაჭერა, რაც, თავის მხრივ, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს საერთაშორისო აღიარებას მოუპოვებს". სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამაში, ქართული ფილოლოგია, შეტანილია როგორც ქართველური ენათმეცნიერების, ქართული ლიტერატურის, ისე აფხაზოლოგიის საკითხები აფხაზური ენისა და აფხაზური ლიტერატურის მიმართულებით. პროგრამის მიზანს წარმოადგენს მაგისტრანტებისათვის ღრმა და სისტემური ცოდნის გადაცემა ქართული და აფხაზური ენების სტრუქტურული პარალელების შესახებ, ლინგვისტური აფხაზოლოგიის აქტუალური სამეცნეირო პრობლემების შესახებ, ასევე, დაინტერესებულ მაგისტრანტებს შეასწავლოს მდიდარი ტრადიციების მქონე ქართულ-აფხაზური ურთიერთობები; თანამედროვე ინტერკულტურული კვლევის მეთოდები. და სხვ.

- პროგრამის მიზანია აგრეთვე ქართულ ფილოლოგიაში მაღალკვალიფიციური მაგისტრანტების მომზადება, რომელთაც ექნებათ შესაბამისი დარგის აკადემიური ხარისხი და სათანადო კვალიფიკაცია. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამას აქვს ორი მოდული: ქართული ლიტერატურათმცოდნეობა და ქართველური ენათმეცნიერება. თითოეულ მოდულში განსაზღვრულია მიზნები და ამოცანები. ქართველური ენათმეცნიერების სასპეციალიზაციო მოდულის მიზანია სპეციალისტებს საფუძვლიანად შეასწავლოს აღნიშნულ დარგში არსებული განსხვავებული სამეცნიერო შეხედულებები ქართული სამწიგნობრო ენისა და ქართველური ენა-კილოების ფონეტიკის, ქართველური სახელისა და ზმნის პარადიგმების შესახებ; საერთოქართველურ და არქაულ სამწიგნობრო ენობრივ სისტემასთან ქართველური ტერიტორიული ენობრივი ერთეულების (მეგრულის, ჭანურის, სვანურის) მიმართება; ქართველურ ენა-კილოთა გავრცელების არეალში არსებული რთული სოციოლინგვისტური და ლინგვოკულტურული პროცესები და არეალური კონტაქტები; ქართველ და უცხოელ მკვლევართა მიერ ქართველთა ენობრივ-ეთნიკური იდენტობის შესახებ ჩამოყალიბებული მეცნიერული თუ იდეოლოგიზებული შეხედულებები. ქართული ლიტერატურათმცოდნეობის სასპეციალიზაციო მოდულის მიზანია მაგისტრანტს მისცეს საფუძვლიანი ცოდნა ლიტერატურული გვარებისა და ჟანრების ჩასახვა-ფორმირებასთან, ეპოქათა შესაბამისად განვითარების ეტაპების მოდიფიცირებასთან მიმართებით; გააცნობიერებინოს ქართული ლიტერატურის ისტორიის (სამივე პერიოდის) ძირითადი პრობლემატიკა, ნიშანდობლივი თვისებები და ჟანრული თავისებურებები მსოფლიო ლიტერატურის ევოლუციის კონტექსტში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს

| |
|---|
| შედეგების ჩათვლით<br><br>○ სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია<br><br>○ ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა<br><br>○ ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები<br><br>○ თვითშეფასების ანგარიში<br><br>○ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან<br><br>○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან<br><br>○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან |
| რეკომენდაციები:<br><br>o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>o არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 1.2პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- პროგრამის სწავლის შედეგები რეალისტურად არის ჩამოყალიბებული და მიღწევადია. პროგრამის სწავლის შედეგები არის შეფასებადი და გაზომვადი. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; დასკვნის უნარი; კომუნიკაციის უნარი, დამოუკიდებლად მუშაობის უნარი; განსხვავებული აზრის მოსმენისა და პატივისცემის უნარი და სხვ.
- სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა შედგება ორი მოდულისაგან. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მიიღოს ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნა მის მიერ შერჩეულ მოდულთან დაკავშირებული ფილოლოგიური უნარ-ჩვევების გათვალისწინებით.
- ქართველური ენათმეცნიერების სასპეციალიზაციო მოდულის ფარგლებში მაგისტრანტს ექნება შესაბამისი დარგის ცოდნა შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით: ქართველური ენა-კილოების ფონეტიკა, ქართველური სახელი და ზმნის პარადიგმები; საერთოქართველურ და არქაულ სამწიგნობრო ენობრივ სისტემასთან ქართველური ტერიტორიული ენობრივი ერთეულების (მეგრულის, ჭანურის, სვანურის.) მიმართება; ქართველურ ენა-კილოთა გავრცელების არეალში არსებული რთული სოციოლინგვისტური და ლინგვოკულტურული პროცესები და არეალური კონტაქტები; ქართველ და უცხოელ მკვლევართა მიერ ქართველთა ენობრივ-ეთნიკური იდენტობის შესახებ ჩამოყალიბებული მეცნიერული თუ იდეოლოგიზებული შეხედულებები და სხვ.
- ქართული ლიტერატურათმცოდნეობის სასპეციალიზაციო მოდულის ფარგლებში მაგისტრანტი საფუძვლიანად გარკვეულია ქართული ლიტერატურის ისტორიის ძირითად პრობლემატიკაში; გაცნობიერებული აქვს მათი ნიშანდობლივი თვისებები და ჟანრული თავისებურებები მსოფლიო ლიტერატურის ევოლუციის კონტექსტში; აქვს საფუძვლიანი ცოდნა ლიტერატურული გვარებისა და ჟანრების ჩასახვა-ფორმირებასთან, ეპოქათა შესაბამისად განვითარების ეტაპების გარკვეულ მოდიფიცირებასთან მიმართებით; შეისწავლა ქართული და ევროპული ლიტერატურის ძირითადი

კონცეპტები, მსგავსება- განსხვავებები; გაერკვა მდიდარი ტრადიციების მქონე ქართულ-აფხაზურ ლიტერატურულ ურთიერთობებში; გაეცნო ქართული წერილობითი კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაკვეთის - ქართული ხელნაწერის შექმნისა და განვითარების საფუძვლებს; მიიღო საფუძვლიანი ცოდნა ლიტერატურულ-თეორიული აზროვნების განვითარების ძირითად ეტაპებთან მიმართებით, დაწყებული ანტიკური პერიოდიდან ვიდრე მე-20 საუკუნის ჩათვლით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა
- ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები
- გასაუბრების შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- გასაუბრების შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან
- გასაუბრების შედეგები პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- გასაუბრების შედეგები სტუდენტებთან
- გასაუბრების შედეგები კურსდამთავრებულებთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

| |
|---|
| Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა | X | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>• სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის წინაპირობები არის საჯარო და ხელმისაწვდომი. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებია: ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ნებისმიერი სპეციალობით; საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება; შიდა საუნივერსიტეტო სასპეციალიზაციო წერითი გამოცდა; უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.<br>• წინაპირობების მიხედვით, ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა შეუძლია ნებისმიერი სპეციალობის ბაკალავრის ხარისხის მქონე პირს. აღნიშნული რეგულაცია თანხვედრაში მოდის განათლების კანონთან. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2013 წელს აკრედიტაციის ექსპერტთა ერთ-ერთი |

| |
|---|
| რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამაზე არსებული წინაპირობების მოხსნის საკითხს. კერძოდ, 2013 წლის 10 ივნისს გაცემული ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნულია: „სასურველია მოიხსნას სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, რომლის თანახმადაც მხოლოდ ჰუმანიტარული პროფილის, რელიგიათმოდნეობისა და განათლების მეცნიერებების სტუდენტებს აქვთ ამ პროგრამაზე ჩაბარების უფლება“. 2019 წლის აკრედიტაციის ეპსპერტთა აზრით, ვინაიდან მოქმედ კანონმდებლობაში არ არის შეზღუდული სამაგისტრო სასპეციალიზაციო რეგულაციები, დასაშვებია სამაგისტრო პროგრამას არ ჰქონდეს წინაპირობები. აღნიშნული საკითხი კი რეგულირდება შიდა საუნივერსიტეტო გამოცდით, რომელიც შეიცავს ქართული ფილოლოგიის, ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის ძირითად, საკვანძო და მნიშვნელოვან საკითხებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>○ ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა<br>○ ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები<br>○ გასაუბრების შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან<br>○ გასაუბრების შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან<br>○ გასაუბრების შედეგები პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან<br>○ გასაუბრების შედეგები სტუდენტებთან<br>○ გასაუბრების შედეგები კურსდამთავრებულებთან |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

| |
|---|
| ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>• ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა შეადგენს 120 ECTS კრედიტს. კრედიტები შედგება სავალდებულო და არჩევითი დისციპლინებისგან, ასევე, სავალდებულო სამაგისტრო ნაშრომისგან. პროგრამაში სულ 30 სავალდებულო კრედიტია, აღნიშნული სავალდებულოა ორივე მოდულის სტუდენტებისათვის. თითოეულ მოდულს აქვს 30 კრედიტიანი სავალდებულო სასწავლო კურსები და არჩევითი კურსები (სულ 13 არჩევითი კურსი, 51 კრედიტის მოცულობით) და საბაკალავრო ნაშრომი, 30 კრედიტი. სამაგისტრო პროგრამა შედგება ორი მოდულისაგან: ქართველური ენათმეცნიერებისა და ქართული ლიტერატურათმცოდნეობის მოდულებისგან. პროგრამაში არის ორივე მოდულისათვის სავალდებულო სასწავლო კურსები. ვინაიდან სამაგისტრო პროგრამას არ აქვს წინაპირობა, ორივე მოდულისათვის სავალდებულო კურსები შედგება ორგვარი საგნებისაგან: საგნები, რომლებიც მიმართულია სწავლების პირველ საფეხურზე მიღებული ცოდნის განვრცობაზე (იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა ჰუმანიტარულ სფეროში მიიღო განათლება) ან ახალი ცოდნის შეძენაზე (იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა არაჰუმანიტარულ სფეროში მიიღო განათლება) და მაგისტრატურის სტუდენტების მომზადებაზე/ორიენტირებაზე შედარებით რთული და სპეციფიკური სასწავლო კურსების დასაძლევად. ამასთან, პროგრამა შედგება ცალკეული სასპეციალიზაციო მოდულებისთვის განკუთვნილი სავალდებულო სასწავლო კურსებისაგან, რომლებიც მიმართულია თანამედროვე |

ტიპის მეცნიერ-ფილოლოგისთვის სავალდებულო ღრმა და საფუძვლიანი პროფესიული ცოდნის მიცემაზე; დარგობრივი და მეცნიერული კომპეტენციების შესაძენად; სამაგისტრო პროგრამაში არის არჩევითი სასწავლო კურსები, რომლებიც მიემართება ორივე მოდულს და ორიენტირებულია კონკრეტული პრობლემატიკის ფარგლებში კვალიფიციური ცოდნის მიღებასა და დარგობრივი ცოდნის შემდგომ გაღრმავებაზე. აღნიშნული ბლოკის ფარგლებში მაგისტრანტს არჩევითი სასწავლო კურსების შესწავლის საფუძველზე შეუძლია საკუთარი ფილოლოგიური კომპეტენციების გაღრმავება.

- ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში გათვალისწინებულია პროფესიული პრაქტიკა, 6 კრედიტის მოცულობით. სამაგისტრო პროგრამაში გათვალისწინებულია სავალდებულო კვლევითი კომპონენტი, სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც 30 კრედიტიანია. სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისათვის განკუთვნილია ბოლო, მე-4 სემესტრი და სრულდება საჯარო დაცვით.
- სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამაში ასახულია ყველა ის ძირითადი საგანი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით გვაქვს შენიშვნა. სამაგისტრო პროგრამაში ჩართული არ არის ისეთი მნიშვნელოვანი ფილოლოგიური სამეცნიერო დისციპლინა, როგორიც არის ფოლკლორისტიკა, რაც აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის სერიოზულ ხარვეზს წარმოადგენს. ქართველმა ხალხმა თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე შექმნა სიუჟეტებითა და მოტივებითა უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანი ზეპირსიტყვიერი ფონდი. ქართულ ფოლკლორში დასტურდება თითქმის ყველა ჟანრი: ეპოსი, ლირიკა, მისტერია, მითი, ზღაპარი, ბალადა, საწესჩვეულებო პოეზია და სხვ., ფოლკლორისტიკის დარგში ქართულ ენაზე გამოცემულია ფუნდამენტური შრომები, მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, ქრესტომათიები, რაც ცოდნის გადაცემის ხელსაყრელ და საუკეთესო საფუძველს იძლევა. მიგვაჩნია, რომ ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში აუცილებლად უნდა იყოს შეტანილი ისეთი სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტებს ქართული კულტურის შენებაში ფოლკლორის როლსა და მნიშვნელობას შეასწავლის. რადგან აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას ქართულ-აფხაზური ენობრივ-ლიტერატურული ურთიერთობების შესწავლაც წარმოადგენს, შესაძლებელია, პროგრამაში ისეთი სასწავლო დისციპლინების ჩართვა, რომელიც მაგისტრანტებს ქართული და აფხაზური ფოლკლორის საერთო ძირებს, საერთო მოტივებსა და სიუჟეტურ პარალელიზმებს შეასწავლის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა
- ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები

| |
|---|
| ○ გასაუბრების შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან<br><br>○ გასაუბრების შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან<br>○ გასაუბრების შედეგები პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან<br><br>○ გასაუბრების შედეგები სტუდენტებთან<br><br>○ გასაუბრების შედეგები კურსდამთავრებულებთან |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები<br><br>○ მიზანშეწონილია ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში იყოს შეტანილი ისეთი სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტებს შეასწავლის ფოლკლორის როლსა და მნიშვნელობას. |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| შეფასება<br><br>ㅇ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების შინაარსი და სწავლის შედეგები ძირითადად შეესაბამება პროგრამის მიზნებს. კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა ლოგიკურია. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; სილაბუსებში მითითებულია თანამედროვე და დარგისთვის მნიშვნელოვანი სასწავლო მასალა, თუმცა, სასურველია, განახლდეს უნივერსიტეტის წიგნადი ფონდი სასწავლო ლიტერატურით.
- ზოგიერთი საგნის სილაბუსში შეინიშნება ტექნიკური ხარვეზები. მაგალითად: საგანში: შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა: ძირითადი ცნებები და პრობლემები, სავალდებულო და დამატებით ლიტერატურაში არ არის მითითებული სილაბუსის შინაარსში დასახელებული წიგნი (ბ. წიფურია, ქართული ტექსტი საბჭოთა/პოსტსაბჭოთა/პოსტმოდერნულ კონტექსტში, თბ., 2016). ანალოგიური ვითარებაა საგანში: ლიტერატურათმცოდნეობითი იმაგოლოგია: ძირითადი ცნებები და პრობლემები (სავალდებულო და დამატებით ლიტერატურაში არ არის შეტანილი კურსის შინაარსში დასახელებული ტექსტები).
- 

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა
- ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები
- გასაუბრების შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- გასაუბრების შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან
- გასაუბრების შედეგები პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

| |
|---|
| ○ გასაუბრების შედეგები სტუდენტებთან<br><br>○ გასაუბრების შედეგები კურსდამთავრებულებთან |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები<br><br>○ სილაბუსებში დასახელებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის შინაარსთან. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ განახლდეს უნივერსიტეტის წიგნადი ფონდი სასწავლო ლიტერატურით. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>Xმეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.4პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |

| |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>• ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. სტუდენტებში სამეცნიერო და კვლევითი უნარების განვითარების მიზნით პროგრამის ფარგლებში სავალდებულოა პროფესიული პრაქტიკა, რომელიც ხორციელდება შესაბამისი მემორანდუმის საფუძველზე კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. პროფესიულ პრაქტიკას ეთმობა 6 კრედიტი. მას მაგისტრანტები სწავლების მესამე სემესტრში გადიან. პროფესიული პრაქტიკის ფარგლებში მაგისტრანტები ეცნობიან ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საარქივო მასალას. ქართველური ენათმეცნიერებისა და ქართული ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრანტები თავიანთი მოდულის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეისწავლიან ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ხელნაწერებს (ძირითადად, მე-18, მე-19 საუკუნეების ხელნაწერებს). პროფესიული პრაქტიკა მნიშვნელოვანი კომპონენტია ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამისათვის. მაგისტრანტებისათვის დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე პრაქტიკული მუშაობა ხელს შეუწყობს პროფესიულ დაოსტატებასა და მნიშვნელოვანი ფილოლოგიური უნარ-ჩვევების განვითარებაში. ექსპერტთა აზრით, პროფესიული პრაქტიკის გავლა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ორივე მოდულისათვის სრულიად შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ხელს უწყობს პროგრამის პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას.<br>• სასწავლო საფეხურის ბოლოს, მაგისტრატურაში სწავლის მე-4 სემესტრში, სტუდენტი ამზადებს სამაგისტრო ნაშრომს, რომელსაც წარადგენს შესაბამისი დარგობრივი საბჭოს წინაშე დასკვნით საჯარო დაცვაზე. ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე შემუშავებულია სამაგისტრო ნაშრომების სარეკომენდაციო პრობლემატიკა, საიდანაც მაგისტრანტს შეუძლია აირჩიოს საკვლევი საკითხი.<br>○ |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა<br>○ ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები<br>○ გასაუბრების შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან<br>○ გასაუბრების შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან<br>○ გასაუბრების შედეგები პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან<br>○ გასაუბრების შედეგები სტუდენტებთან<br>○ გასაუბრების შედეგები კურსდამთავრებულებთან |

| რეკომენდაციები: |
|---|
| წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>Xშესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.5სწავლება-სწავლის მეთოდები |
|---|
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>● სწავლა-სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელება მიმდინარეობს რამდენიმე მეთოდის მიხედვით. სასწავლო კურსების ნაწილში გამოიყენება შემდეგი მეთოდენი: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა, დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, თანამშრომლობითი სწავლება და სხვ. სასწავლო საგნების ნაწილი ითვალისწინებს პრეზენტაციის კომპონენტს, სადაც სტუდენტებს საშუალება აქვთ შერჩეული საკითხის შესახებ მიღებული ცოდნა გადმოსცენ წერილობით და ვერბალურად. პრეზენტაციის მეთოდი გამოიყენება აგრეთვე |

